№ 00012630

27/12/2022

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის
დირექტორს ქალბატონ რუსუდან სუხიშვილს

შესავალი
ხარისხის მენეჯერის ვალდებულებას წარმოადგენს ყოველწლიური ანგარიში წარუდგინოს დირექტორს. კოლეჯში პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხზე და საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივ დინამიურ განვითარებაზე. ხელმძღვანელობს სასწავლო მარეგულირებელი დებულების თანახმად შეფასება/გადახედვა გაუმჯობესება/დაგეგმვა/განხორციელების უწყვეტი ციკლით და კოლეჯის განვითარებაზე.

განხორციელებული ღონისძიებები:

- ჩემი ხელმძღვანელობით კოლეჯმა 2022 წელს დაიმატა შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი პროფესდიული პროგრამა დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი). პროგრამა საქართველოში ხორციელდება პირველად და ემსახურება კვალიფიციური კადგების მომზადებას სტომატოლოგიური კაბინეტებისა და ლაბორატორიებისათვის.
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად მოვახდინე მონაცემთა შეგროვება 2021 წლის კოლეჯის საქმიანობის შეფასების კუთხით, აღნიშნული დოკუმენტი წარედგინა დირექტორს და განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერძე.
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად 2022 წელის იანვარში ჩემს მიერ მოხდა 2021 წლსის სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიშის მომზადება რომელიც წარედგინა დირექტორს და განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერძე.
- სასწავლო პროცესის საქმიანობის მუდმივი განვითარების მიზნით კოლეჯმა 2022 მაისიდან მიიღო გადაწყვეტილება სასწავლო პროცესის სპეციალისტის საშტატო ნუსხაში შეყვანა. ხარისხის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მენეჯერისის მიერ გადამზადდა სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რამაც მნიშველოვნად გააუმჯობესა პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების საკითხი.
- პროექტის „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერების (LINKS)“ ფარგლებში, 3-7 ივნისს, ბორჯომში მონაწილეობა მივიღე გასვლით ტრენინგებში შემდეგი მიმართულებებით: საპროექტო განაცხადების მომზადება, პროფესიული სწავლების საერთაშორისო პრაქტიკა და მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელება.
- 28, 29 ივნისს პროექტის (LINKS) „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერება“ ფარგლებში „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ ინიციატივით პროფესიულ სასწავლებლებს შორის ჰორიზონტალური კავშირების გაძლიერების და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხარისხის მენეჯერი და დირექტორის მოადგილე ეწვივნენ გურიისა და აჭარის პროფესიულ სასწავლებლებს: კოლეჯი „ჰორიზონტი“, კოლეჯი „ახალი ტალღა“ და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით, „საქართველოს გაეროს ასოციაციისა“ (UNAG) და „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) მიერ. მოხდა საუკეთესო გამოცდილებების გაზიარება და შეჯერება.

- 26 სექტემბრიდან 30 სექტემბერის ჩათვლით, სურსათის ეროვნული სააგენტო და ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორანიზაცია “WOAH” (წარსულში OIE) წარმომადგენლობით გაიმართა სემინარი, რომელზეც მოხდა საქართველოში არსებული პროფესიული სასწავლებლების სასწავლო სისტემის შედარება “WOAH”-ს სტანდარტებთან, მათი სამომავლო გაუმჯობესებისა და დაახლოების მიზნით.ხარისხის მენეჯერმა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარიის პროგრამის ხელმძღვანელმა მიიღეს სტანდარტების შედარების პროცესში მონაწილეობა.
- პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა ხარისხის უზრუნველყოფის უმთავრესი ამოცანაა. ჩემს მიერ დაიგემა და ჩატარდა პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროებებიდან გამომდინარე ღონისძიებები როგორიცაა: კალენდარული გეგმის შედგენა, შეფასების ინსტრუმენტის დახვეწა განვითარება, ახალ პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადება პროფესიული სწავლებისა და შეფასების სისტემის გაცნობა.
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელდა 2022 წლის სამოქმედო გემის შუალედური შეფასება, რისი გაანალიზების შედეგადაც ჩემს მიერ მომზადდა გაუმჯობესების გეგმა ,რომელიც წარმატების შესრულდა.
- 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ჩემს მიერ განხორციელდა გამოკითხვების მონაცემების ანალიზის შეგროვება და დირექტორთან წარდგენა. ასევე კვლევები და ანგარიშები განთავსებულია ვებ გვერძე და გაზიარებულია დაინტერესებულ პირთათვის.
- სამოქმედო გეგმის თანახმად ხელმძღვანელობდი ვერიფიკაციის პროცესს. 2022 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად თითოეულ პროფესიულ პროგარამაზე ჩატარდა ორი ვერიფიკაცია . გაიცა რეკომენდაციები. გამოვლინდა შედეგები რამაც ასახვა ჰპოვა შეფასების ინსტრუმენტის დახვეწა და განვითარების მიმართულებით , დაიხვეწა მასწავლებელთა საანგარიში ფორმა სადაც მკაფიოდ გამოიყო განმეორებით გამოცდაზე გასული პროფესიული სტუდენტების გრაფა.
- 2022 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად ვხელმძღვანელობდი საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგის ჩატარების პროცესს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად გადაიხედა და განახლდა ბიბლიოთეკის სასწავლო რესურსი.
- სისტემატიურად ხორციელდება ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით კოლეჯის ძირითადი და დამხმარე პროცესიბის შემოწმება. ჩემს ნიერ განხორციელდა სიმულაციური ავტორიზაცია სადაც მკაფიოდ გამოიკვეთა კოლეჯში სამომავლოდ განსახორციელებელი მიმართულებები. ჩემს მიერ გაიწერა 2022 წლის დეკემბრიდან 2023 აპრილის ჩათვლით გაუმჯობესების გეგმა.
- ჩემს მიერ შემუშავდა საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი, რამაც გაადვილა პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის დაგეგმონ და განახორციელონ საგაკვეთილო პროცესი მოთხოვნილი შეფასებიდან გამომდინარე.
- ჩემი ხელმძღვანელობით განხორციელდა სასწავლო მატერიალური რესურსის მონიტორინგი. შეფასდა სასწავლო გარემოში ჩასატარებელი მოდულების შესაბამისად.გამოვლენილი შედეგები ეცნობა დირექტორს ანგარიშის სახით.
- ჩართული ვიყავი პოტენციური დამსაქმებლების ჩართვის ხელშეწყობის მიმარულებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებისა და სწავლების პროცესში ჩართვის მიზნით. მოლაპარაკება ვაწარმოე სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თაობაზე. მოაპარაკების შედეგად დაიდო მემორანდუმი და მომავალში კოლეჯი ამაგის პროფესიული სტუდენტები რეალურ გარემოში გამოიმუშავებენ ისეთ უნარებს როგორიცაა ცხოველთა საყურე ნიშნების დადება და სხა.

კერძო კოლეჯების ასოციაცია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
ხარისხის მენეჯერი
დვალი ნინო